ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1927 წლის მაისი 1	№ 8 ერთეული ფასი 10 კაპ.	ა/ბ. ც. ა. კომბტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემული.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ:

მუხ. 89. ბაბმის ზეთის საგასაცემო ფასების შესახებ.

„ 90. საბჭოთა სავაჭრო ფლოტის საზღვარგარეთ მცურავი ნავჭურჭლების კომანდების სოციალური დაზღვევის შესახებ.

„ 91. ა/კსფსრ-ში ფედერატიული, რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის დაწესებულებათა და საწარმოთა გამგებლობაში გადაცემული კონების საჯარო ვაჭრობით გაყიდვის წესების შესახებ.

„ 92. საექსკურსიოდ მომავალი პროფკავშირთა წევრებისა და მოსწავლეებისათვის საშეღავათო ადგილობრივი ტარიფისა და მანქანფისა სამენი წვრილმანეულობის გადაზიდვისათვის ტარიფის დაწესების შესახებ.

„ 93. ა/კსფსრ ფარგლებში მყოფ სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა შორის კონების გამო აღძრულ დავათა გადაწვეტის წესის დებულების 23 მუხლის შენიშვნის შეცვლის შესახებ.

„ 94. აღმოჩენილი განძის განკარგულების წესის შესახებ.

„ 95. სოციალური დაზღვევის სახსრით კურორტებზე საწოლთა იჯარით აღების წესის შესახებ.

„ 96. თირის საგადასახადო ადგილობრივი ტარიფის შესახებ; ამიერკავკასიის საავტომობილო სამრეწველო-სავაჭრო საზოგადოების არსებული სამგზავრო ტარიფების მოქმედების ვადის განგრძობის შესახებ; სკრის სადგურიდან ტფილისის სადგურამდე გადასახიდი ქვიშის საასაწონო გამოსაღებისაგან განთავისუფლების შესახებ.

„ 97. სახელმწიფო ფონდების აღნუსხვისა და რეალიზაციის ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური საფონდო კომისიების ლიკვიდაციის შესახებ.

„ 98. წყალთა მეურნეობის მეტრიზაციის შესახებ.

„ 99. მუშათა საბინაო-სამშენებლო და საყოფაო-სამოქალაქო საბინაო-სამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობათა ნორმალური წესდებების ზოგიერთი მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.
მთავლიტი № 1578. დაიბეჭდა 800.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 18|133 ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა

(მოწესრიგების სამმართველო)

1927 წ. აპრილის 15.

89. ბამბის ზეთის უკიდურესი საგასაცემო ფასის დაწესების შესახებ.

ამერიკაკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ“ 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ“ პუნქტის თანახმად—ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

§ 1. დაწესებულ იქნეს ბამბის რაფინირულ და შავ ზეთზე შემდეგი უკიდურესი საგასაცემო ფასები ფრანკო-ქარხანა ცენტნერი:

ბამბის რაფინირული ზეთი . . . . 44 მან. და 26 კაპ.
შავი (არარაფინირული) . . . . . 40 მან. —

§ 2. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში თვალყური უნდა ადევნოს ამა დადგენილების სისწორით აღსრულებას.

§ 3. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

§ 4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარი **ბეკზადიანი.**

მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **ნოვიკოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1453 №-ში 1927 წ. აპრილის 16-ს.

დადგენილება № 28 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა

1927 წ. აპრილის 11.

90. საბჭოთა სავაჭრო ფლოტის საზღვარგარედ მცურავი ნავეურჭლების კომანდების სოციალური დაზღვევის შესახებ.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს 1927 წლის მარტის 3-ს თარიღისა და 56 №-რის დადგენილება „საბჭოთა სავაჭრო ფლოტის საზღვარგარედ მცურავი ნავეურჭლების კომანდების სოციალური დაზღვევის შესახებ.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კსფსრ შრომის სახალხო კ-ტის სოც. დაზღვ.
მთავარი სამმართველოს უფროსი **ბანოვიჩი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 56 სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოსი

1927 წ. მარტის 3.

საბჭოთა სავაჭრო ფლოტის საზღვარგარეულ მცურავი ნავეურკლების კომანდების სოციალური დაზღვევის შესახებ.

სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭო ადგენს:

1. საბჭოთა სავაჭრო ფლოტის საზღვარგარეულ მცურავი ნავეურკლის სსრკ ფარგლებში ყოფნის დროს ამ ნავეურკლის კომანდას ყოველგვარი სადასაზღვეო დახმარება გაეწევა სოციალური დაზღვევის ორგანოების მიერ საერთო საფუძველზე, როგორც ყველა დანარჩენ დაზღვეულთ.

2. საკონსულო წესდების (სსრკ კან. კრ. 1926 წ. მე-10 №-რი, მუხ. 78 და „სსრკ შრ. სახ. კ-ტის იზვესტია"-ს 1926 წ. მე-18 №-რი) 127 მუხლისა და ამ მუხლის შენიშვნის თანახმად, ნავეურკლის საზღვარგარეულ ცურვის დროს საბჭოთა სავაჭრო ფლოტი კომანდებს გაუწევს შემდეგი სახის სადასაზღვეო დახმარებას:

ა) მისცემს დახმარებას დროებითი შრომის უუნარობისათვის საერთო საფუძველზე, როგორც ყველა დანარჩენ დაზღვეულთ ეძლევათ;

ბ) დამარხავს ნავეურკლის ეკიპაჟის საზღვარგარეულ გარდაცვალებულ პირს.

3. იმ სამუშაო ხელფასის თანხის მიხედვით, რასაც საბჭოთა სავაჭრო ფლოტი გაიღებს მუშაობისათვის ნავეურკლის სსრკ-ში ყოფნის დროს, სოციალური დაზღვევის გადასახადი გადახდევინებულ იქნეს სრულად 12 პროცენტის რაოდენობით და ეს პროცენტი განაწილდეს დამზღვევი ორგანოების გამგებლობაში ქონებულ ფონდებსა და სამკურნალო დახმარების ფონდებს შორის, თანახმად სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სოციალური დაზღვევის გადასახადის ტარიფების შესახებ" 1925 წ. თებერვლის 26-ს თარიღით გამოცემული (სსრკ კან. კრ. 1925 წ. მე-14 №-რი, მუხ. 107) დადგენილების 1-ლი მუხლის „ბ" კარის მე-II ჯგუფისა.

4. იმ სამუშაო ხელფასის თანხის მიხედვით, რასაც საბჭოთა სავაჭრო ფლოტი გაიღებს მუშაობისათვის ნავეურკლის კომანდის საზღვარგარეულ ცურვის დროს, სოციალური დაზღვევის გადასახადი გადახდევინებულ უნდა იქნეს 9 პროცენტის რაოდენობით და ამ პროცენტიდან $6^1/_2$ პროცენტი შევა დამზღვევ ორგანოების გამგებლობაში ქონებულ ფონდებში, ხოლო $2^1/_2$ პროცენტი — სამკურნალო დახმარების ფონდში.

5. ამა დადგენილების მოქმედება გავრცელდება მთელი ხნის განმავლობაზე, დაწყებული 1924 წ. ოქტომბრის 1-დან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ, სადაც ადგილთბრივ სოციალური დაზღვევის ორგანოებსა და საბჭოთა სავაჭრო ფლოტს შორის არსებობს შეთანხმება ამა დადგენილებაში აღნიშნულ პირთათვის სოციალური დაზღვევის გადასახადის გადახდის წესის შესახებ, ამა დადგენილების მე-4 მუხლით განსაზღვრული წესი ანგარიშის გასწორებისა სამოქმედოდ შემოიღება— დაწყებული 1926 წლის დეკემბრის 1-დან.

სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე **ნემჩენკო.**

პასუხისმგებელი მდივანი **კუზიატინი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1455 №-ში 1927 წლის აპრილის 19-ს.

დადგენილება № 15 აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

91. ა/კსფსრ-ში ფედერატიული, რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის დაწესებულებათა და საწარმოთა გამგებლობაში გადაცემული ქონების საჯარო ვაჭრობით გაყიდვის წესების შესახებ.

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—სახელმწიფო ქონების გასხვისების შესახებ—1926 წლის ივნისის 11-ს თარიღით გამოცემული (სსრკ კან. კრ. 1926 წ. 42 №-რი, მუხ. 305) დადგენილების მე-14 მუხლის თანახმად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გაყიდვა სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილების მე-6, 7 და 9 მუხ. აღნიშნული ქონებისა, რაც ფედერატიული, რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის დაწესებულებისა და საწარმოს გამგებლობაშია, მოხდება საჯარო ვაჭრობით, ისეთი ქონების გამოკლებით, რომელიც, იმავე დადგენილების მე-12 მუხლის წესისამებრ, შეფასებულ იქნება 1.000 მან. ნაკლებ, და აგრეთვე რომელიც მალე ფუჭდება ან რომლის გაყიდვის დაყოვნებას შეუძლიან გამოიწვიოს ამ ქონების განადგურება.

2. ის ორგანო, რომლის გამგებლობაშიაც საჯარო ვაჭრობით გასაყიდად დანიშნული ქონებაა, შეადგენს ამ ქონების აღწერილობას, რაშიაც აღნიშნული უნდა იყოს გასაყიდად დანიშნული საგნების საბაზრო და საბალანსო შეფასება და აგრეთვე ისეთი საბალანსო შეფასება, რომლითაც ანგარიშში მიღებულ იქნება საგნის გაცვეთა.

3. უკეთუ, სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილების თანახმად, ქონების გაყიდვისათვის საჭიროა წინასწარი ნებართვა, ამ ნებართვის მიცემის შესახები თხოვნის წარდგენასთან ერთად, სათანადო ორგანოს წარედგინება აგრეთვე ამა წესების მე-2 მუხლში აღნიშნული აღწერილობა და შეფასება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ის ორგანო, რომელიც იძლევა გასხვისების ნებართვას, განსაზღვრავს იმ ფასს, საიდანაც დაწყებულ უნდა იქნეს საჯარო ვაჭრობა.

5. გამყიდველი ორგანო მოვალეა—არა უგვიანეს შვიდი დღისა ვაჭრობამდე—გამოაცხადოს, რომ დანიშნულია საჯარო ვაჭრობა და თანაც პუბლიკაციაში აღნიშნოს იმ პირთა წრე, რომელთაც შეუძლიანთ ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღონ.

6. უკეთუ ფასი, საიდანაც დაწყებულ უნდა იქნეს ვაჭრობა, 25.000 მან. არ აღემატება, პუბლიკაცია ვაჭრობის შესახებ მოთავსებულ უნდა იქნეს ერთხელ ა/კსფსრ-ში შემავალი იმ რესპუბლიკის სათანადო ოფიციალურ ბეჭდვითი ორგანოში, რომლის ტერიტორიაზედაც მოხდება ვაჭრობა. ხოლო, უკეთუ ეს ფასი 25.000 მან. აღემატება, პუბლიკაცია მოთავსებულ უნდა იქნეს ერთხელ რესპუბლიკის ოფიციალურ ბეჭდვითი ორგანოში და ერთხელაც ა/კსფსრ ოფიციალურ ბეჭდვითი ორგანოში.

7. პუბლიკაციაში ვაჭრობის შესახებ აღნიშნულ უნდა იქნეს:

ა) იმ ორგანოს სახელწოდება, რომელიც ვაჭრობას გამოაცხადებს;

ბ) ვაჭრობის ადგილი, დღე და საათი;

გ) გასაყიდი საგანი;

დ) ფასი, საიდანაც დაწყებულ უნდა იქნეს ვაჭრობა (მუხ. 3ე-4);

ე) დრო და ადგილი, სადაც გასაყიდი ქონების გასინჯვა შეიძლება;

ვ) საწინდრის შეტანის ვადა.

8. ერთი დღის განმავლობაში დაუმთავრებელი ვაჭრობა განგრძობილ იქნება შემდეგ სამუშაო დღეებში დამთავრებამდე.

9. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიანთ იმ პირთ, ვინც ვაჭრობის მომხდენ ორგანოში მსახურობს, მათ მეუღლეთ, მათ ნათესავთ პირდაპირი შთამომავლობით, აგრეთვე ძმებსა და დებს და მათ მეუღლეთა ასეთსავე ნათესავებს.

10. ის, ვისაც სურვილი აქვს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, მოვალეა შეიტანოს ვაჭრობის შესახებ გამოცხადებულ პუბლიკაციაში ნაჩვენებ ვადაზე საწინდარი მე-4 მუხ. აღნიშნული, საგნის იმ ფასის 10%-ს რაოდენობით, რომლის ყიდვაც მას სურს.

შენიშვნა. ამა მუხლში განსაზღვრული წესი არ გავრცელდება სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოზე და ისეთ სააქციო საზოგადოებაზე (საპაიო ამხანაგობაზე), რომელიც მარტოოდენ სახელმწიფო კაპიტალის მონაწილეობით მოქმედობს.

11. ის, ვისაც სურვილი აქვს მონაწილეობა მიიღოს ისეთი შენობისა და სამდინარო ნავპურჭლის ვაჭრობაში, რაც დასაშლელად არ იყოდება, მოვალეა წარადგინოს ხელწერილი, რომ მის მიერ ამ შენობისა და ნავპურჭლის შეძენისათვის არავითარი კანონიერი დაბრკოლება არ არსებობს.

12. ვაჭრობას აწარმოებს განსაკუთრებული სავაჭრო კომისია, რომელსაც ვაჭრობის განმცხადებელი ორგანო მოაწყობს არა ნაკლებ, ვიდრე სამის წევრისაგან, მათ შორის თავმჯდომარის ჩათვლით.

ვაჭრობის წარმოების წესს განსაზღვრავს თვით კომისია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. ვაჭრობის დაწყებისას კომისიის თავმჯდომარე განაცხადებს საგნის ფასს, რაც შეფასებაშია განსაზღვრული, და შეეკითხება: „ვინ უმატებს“. შემდეგ, მყიდველთა შიერ შეძლეულ ფასებს იგი განაცხადებს ხოლმე სიტყვიერად, ვიდრე წამატება გრძელდება. წამატების მოსპობის შემდეგ კომისიის თავმჯდომარე წარმოსთქვამს სამჯერ: „არავინ უმატებს“, და, უკეთუ მეორეჯერ თქმის შემდეგ არა იქნება-რა წამატებული, წამატება უკვე აღარ მიიღება, ვაჭრობა დამთავრებულად ჩაითვლება და გაყიდული საგანი იმას დარჩება, ვინც უკანასკნელი წანამატი შეაძლია.

14. სავაჭრო-კომისია აწარმოებს ვაჭრობის ოქმს, რაშიაც აღინიშნება:

ა) იმ ორგანოს სახელწოდება, რომელიც ვაჭრობას აწარმოებს;

ბ) ვაჭრობის დრო და ადგილი;

გ) კომისიის შედგენილობა;

დ) გაყიდულ საგანთა ნომრები აღწერილობის მიხედვით;

ე) ვაჭრობის დროს შეძლეული უმაღლესი ფასი, რა ფასადაც საგანი მყიდველს დარჩა;

ვ) მყიდველის გვარი, სახელი და მამის სახელი, რაც მყიდველმა საკუთარის ხელით უნდა ჩაწეროს, ხოლო, თუ წერა არ იცის, მისი თხოვნით სხვა პირმა;

ზ) შეტანილი საწინდრისა და ბეს რაოდენობა; თანაც აღნიშნულ უნდა იქნეს დანარჩენი თანხის შეტანის დრო.

15. მყიდველი მოვალეა დაუყოვნებლივ, მაშინვე, რაც გასაყიდი საგანი მას დარჩება, შეიტანოს ბე არა ნაკლებ, ვიდრე თავდაპირველი შეფასების რაოდენობით, შეტანილი საწინდრის ჩათვლით, ხოლო დანარჩენი თანხა არა უგვიანეს 7 დღისა.

ის მყიდველი, რომელიც ბეს შეტანაზე უარს იტყვის, ჰკარგავს საწინდარს.

16. უკეთუ მყიდველი არ შეიტანს განსაზღვრულ ვადაზე მის მიერ ვაჭრობის დროს შეძლეულ თანხას, იგი ჰკარგავს შეტანილ ბეს.

17. მე-15 და 16 მუხ. ძალით მყიდველის მიერ დაკარგული საწინდარი და ბე წარმართება ისე, როგორც სათანადო ქონების გაყიდვით მიღებული თანხა (სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—სახელმწიფო ქონების გასხვისების შესახებ—1926 წ. ივნისის 11-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-15, 16 და 17 მუხლ.)

18. გაყიდული საგნები გადაეცემა მყიდველს მხოლოდ მას შემდეგ, როცა სრულად იქნება მიღებული ვაჭრობის დროს მისგან შეძლეული თანხა.

19. შენობისა და ნავეურჭლის საჯარო ვაჭრობით მყიდველს მიეცემა ვაჭრობის ოქმის ამონაწერი სანოტარო აქტის შესადგენად შენობისა თუ საზღვაო ნავეურჭლის შეძენის შესახებ ან სათანადო წყალსავალ გზების საამართველოს მიერ სანავეურჭლო რეესტრში აღნიშნვის შესატანად; აგრეთვე მიეცემა სანავეურჭლო მოწმობა საკუთრების უფლების გადასვლის შესახებ, უკეთუ შეძენილია შინა-წყალსავალ გზებთან მცურავი ნავეურჭელი.

20. ვაჭრობა არაშემდგარად ჩაითვლება:

ა) უკეთუ სავაჭროდ გამოცხადდა არა უმეტეს ერთი მყიდველისა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) უკეთუ გამოცხადებულთა შორის არავინ არას წაუმატებს რა იმ ფასს, საიდანაც ვაჭრობა იწყება;

გ) უკეთუ ვაჭრობის დამთავრების შემდეგ მყიდველი ვადაზე არ გადაიხდის თავის ხვედრ სასყიდელს.

21. უკეთუ ვაჭრობა. არ შესდგა, ქონების გამყიდველი ორგანო დანიშნავს ახალ ვაჭრობას არა უადრეს ერთი კვირისა იმის შემდეგ, რაც ვაჭრობა არ შესდგა. ახალი ვაჭრობა წარმოებულ უნდა იქნეს იმავე წესით, რაც პირველი ვაჭრობისათვის არის დადგენილი.

22. უკეთუ მეორე ვაჭრობაც არ შესდგა, იმ ორგანოს, რომლის გამგებლობაშიაც გასაყიდი ქონებაა, უფლება ეძლევა მოახდინოს ამ ქონების რეალიზაცია სხვა კანონიერი საშუალებით თავისი შეხედულებისამებრ. ხოლო, უკეთუ, სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილების თანახმად, ქონების გაყიდვისათვის საჭიროა წინასწარი ნებართვა, ის ფასი, რის ნაკლებადაც ქონება არ შეიძლება გაყიდულ იქნეს, ხელახლად უნდა განსაზღვროს იმ ორგანომ, რომელზედაც დამოკიდებულია ხსენებული ნებართვის გაცემა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ლუკაშინი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1927 წ. მარტის 24. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1456 №-ში 1927 წ. აპრილის 20-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისი საჯარო ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კ. რკ. გზ. მაგგეოგასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათგირისა

1927 წლის აპრილის 15.

92. საექსკურსიოდ მიმავალი პროფკავშირთა წევრებისა და მოსწავლეებისათვის საშეღავათო ადგილობრივი ტარიფისა და მანქაფის საშენი წვრილმანეულობის გადაზიდვისათვის ტარიფის დაწესების შესახებ.

1) ამიერკავკასიის რესპუბლიკების პროფესიონალურ კავშირთა საბჭოებისა და განათლების სახალხო კომისარიატების მიერ მოწყობილი პროფესიონალურ კავშირთა წევრებისა და მოსწავლეების ექსკურსიებისათვის საშეღავათო ადგილობრივი ტარიფის დაწესების შესახებ.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების პროფესიონალურ კავშირთა საბჭოებისა და განათლების სახალხო კომისარიატების მიერ მოწყობილ ექსკურსიებში პროფკავშირთა წევრებისა და მოსწავლეების მგზავრობისათვის ა/კ. რკ. გზ. ადგილობრივ მიმოსვლაში (გზის ფარგლებში) დაწესდება შეღავათიანი ადგილობრივი ტარიფი ნახევარი მომქმედი საერთო (ნორმალური) ტარიფის რაოდენობით, არა უმეტეს, ვიდრე საერთო რიცხვით 11.500 (თერთმეტი ათას ხუთასი) ექსკურსანტისათვის. შეღავათი მიეცემა შემდეგ ორგანიზაციებს:

ამიერკავკასიის პროფკავშირთა საბჭოს ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების პროფკავშირთა საბჭოებს შორის გასანაწილებლად	7.500 ექსკ. სამგზავროდ.
საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატს (ამაში შედის საუწყებათაშორისო სატარიფო საბჭოს გამწესრიგებელი სხდომის ა/წ. აპრილის 1-ს დადგენილებით (ოქმი № 6/P) განსაზღვრული 1.000 ექსკ. („ზარია ვოსტოკა"-ს 1441 №-რი ა/წ. აპრილის 2-სა).	2.000 ექსკ. სამგზავროდ.
სომხეთის განათლების სახალხო კომისარიატს . .	1.200 ექსკ. სამგზავროდ.
აზერბაიჯანის განათლების სახალხო კ-ტს . . .	800 ექსკ. სამგზავროდ.
სულ .	11.500 ექსკ. სამგზავროდ.

ტარიფი ესე დაწესდება ვადით ა/წ. აპრილის 20-დან ამავე წლის ოქტომბრის 1-დე; იგი შემოიღება ტელეგრაფით და შეფარდებულ იქნება იმ პირობით, უკეთუ გაგზავნის სადგურებზე წარდგენილ იქნება ა/კ. რკ. გზის 1-ლი №-რის ფორმის მოწმობები, ეარგისი მარტო ერთი მგზავრობისათვის, რომელი მოწმობებიც სათანადოდ შევსებულ იქნება ა/კ. პროფკავშირთა საბჭოს და განათლების სახალხო კომისარიატების მიერ თვითეული ექსკურსანტისათვის ცალკე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწმობებს უნდა ჰქონდეს პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა, ბეჭედი და ა/კ. რკ. გზის საშემოსავლო განყოფილების ვიზა ბეჭდის სახით, ურომლისოდაც მოწმობებს ძალა არ ექნება.

ტარიფი ესე რბილ ვაგონებსა და საჩქარო მატარებლებში მგზავრობაზე არ გავრცელდება. დაჭერილი ადგილის პლაცკარტისათვის სასყიდელი გადახდევინებულ იქნება საერთო წესისამებრ და უმონაკლებოდ.

ტარიფი ესე დაწესდება ორგანიზაციულად მოწყობილი ექსკურსიებისათვის და ამის გამო ცალკეული ექსკურსანტის გამგზავრება ამა ტარიფით არ შეიძლება.

რათა ექსკურსიების გაგზავნა რაც შეიძლება მეტის გეგმიანობით სწარმოებდეს, საჭიროა ა/კ. პროფკავშირთა საბჭოები და განათლების სახალხო კომისარიატები ერთი თვით ადრე შეეთანხმნენ ა/კ. რკ. გზის საექსპლოატაციო განყოფილებას.

ამა ტარიფით მსვლელი პირი მოვალეა ხელთ ჰქონდეს და წარუდგინოს ხოლმე კონტროლს, ბილეთთან და სამგზავრო მოწმობის ტალონთან ერთად, აგრეთვე დოკუმენტი, რითაც დამტკიცდება მისი უფლება ამა ტარიფით მგზავრობისა.

2) ა/კ. ფედერაციის რესპუბლიკების პროფკავშირთა საბჭოების მიერ ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო-სადგურის დასათვალიერებლად მოწყობილი ექსკურსიებისათვის საექსკურსიო ტარიფის დაწესების შესახებ.

ა/კ. ფედერაციის რესპუბლიკების პროფკავშირთა საბჭოების მიერ ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო-სადგურის დასათვალიერებლად მოწყობილი ექსკურსიების ექსკურსანტების მგზავრობისათვის ტფილისის სადგურიდან მცხეთის სადგურამდე და წინაუკმოდ დაწესებულ იქნეს საექსკურსიო ტარიფი 25 კაპ. რაოდენობით მცხეთაში წასასვლელად (ტფილისი-მცხეთა) და 25 კაპ. რაოდენობით უკან დასაბრუნებლად (მცხეთა-ტფილისი) იმ პირობით, რომ ექსკურსანტები მსვლელობდნენ პარტიობით არა ნაკლებ 300 კაცისა თითო პარტიაში.

საექსკურსიო ტარიფის შესაფარდებლად საჭიროა წარდგენილ იქნეს გაგზავნისა და დანიშნულების სადგურზე პროფკავშირთა საბჭოს მიერ დამოწმებული ექსკურსანტების სახელობითი სია.

გადაყვანა მოხდება, სამგზავრო ბილეთების ნაცვლად, სამგზავრო სისწრაფის დოკუმენტებით.

ტარიფი ესე შემოიღება სამოქმედოდ ტელეგრაფით ვადით აპრილის 1927 წ. 20-დან ოქტომბრის 1-დე.

3) მანქაფის საშენი წვრილმანეულობის გადასაზიდად ა/კ. რკ. გზ. ადგილობრივ მიმოსვლაში ადგილობრივი ტარიფის დაწესების შესახებ.

მანქაფის საშენი წვრილმანეულობის (წვრილ-წვრილი ნაჭრები) (ჯგ. 41, პოზ. 18-ა) ვაგონობით გადაზიდვისათვის ა/კ. რკ. გზ. ადგილობრივ მიმოსვლაში—ა/კ. რკ. გზ. ანისისა და ლენინაკანის სადგურებიდან ა/კ. რკ. გზ. ბილიჯის სადგურამდე—დაწესებულ იქნეს ადგილობრივი ტარიფი მომქმედი სატარიფო სისტემის 28 კლასით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარიფი ესე შემოიღება 7 დღის შემდეგ ამა დადგენილების გამოქვეყნებიდან ვადით 1927 წ. ოქტომბრის 1-დე და შეფარდებულ იქნება არა უმეტეს, ვიდრე 1.500 ვაგონი მანქანის საშენი წვრილმანეულობის გადაზიდვისათვის.

ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული
საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის
თავმჯდომარის მაგიერ—გამგეობის წევრი **ლევაშევი.**

სატარიფო თათბირის საქმეთა მმართველი **შახბუდაღოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1456 №-ში 1927 წ. აპრილის 20-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

93. ა/კსფსრ ფარგლებში მყოფ სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა შორის ქონების გამო აღძრულ დავათა გადაწყვეტის წესის დებულების 23 მუხლის შენიშვნის შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ა/კსფსრ ფარგლებში მყოფ სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა შორის ქონების თაობაზე აღძრულ დავათა გადაწყვეტის წესის დებულების (ა/კსფსრ კან. კრ. 1923 წ. მე-4 №-რი, მუხ. 42) 23 მუხლის შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

შენიშვნა. სასამართლო ბაჟი და სხვა გამოსაღები, აგრეთვე საქმის ხარჯი არ გადაჰხდება საერთო-სახელმწიფო და ადგილობრივ სახსარზე საბარჯთაღრიცხვო წესით მყოფ სახელმწიფო (მათ შორის კომუნალურსაც) დაწესებულებასა და საწარმოს, აგრეთვე სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ საკანალიზაციო და საასენიზაციო, წყლისა და განათების მიმწოდებელ, სადეზინფექციო და ½ხვა ამისთანა კომუნალურ საწარმოს, რომელიც ინახება კეთილმოწყობისა და ჯანმრთელობის მიზნით და რომლის ექსპლოატაციასაც კომუნალური მეურნეობის ორგანო უშუალოდ ეწევა, ფაქარით გაუცემლად.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1927 წ. აპრილის 18. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1457 №-ში 1927 წ. აპრილის 21-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

94. აღმოჩენილი განძის განკარგულების წესის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, ქვემოაღნიშნული წესის საფუძველზე, გამოსცენ კანონი „აღმოჩენილი განძის განკარგულების წესის შესახებ".

1. უკეთუ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ტერიტორიაზე აღმოჩენილ იქნება მიწაში ჩაფლული ან სხვა რამ საშუალებით დამალული ფასეულობა, როგორიც არის, მაგალითად: პატიოსანი მეტალის ნაკეთობა, ზოდი და ფული, ძვირფასი ქვა, ქაღალდის ფული, სხვათა შორის, უცხოეთის ვალიუტა, და სხვადასხვა ფასიანი ქაღალდი, პაი, ობლიგაცია, აქცია და ამისთანა რამ, აგრეთვე სხვა რამ საგანი, —რომელი განძის მესაკუთრეც ცნობილი არ არის, ან კანონის ძალით მან ამ ფასეულობაზე უფლება დაჰკარგა,—ასეთი ფასეულობა უნდა გადაეცეს ფინანსთა სახალხო კომისარიატის უახლოეს ორგანოს.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული ფასეულობა და საგანი წარმართულ იქნება სათანადო ფინანსთა სახალხო კომისარიატში, რომელთანაც ამისთანა შემთხვევისათვის მოეწყობა კომისია შემდეგ დაწესებულებათა წარმომადგენლების შედგენილობით: რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, იმ აღმასრულებელი კომიტეტისა, რომლის რაიონშიაც აღმოჩენილ იქნა განძი და სათანადო ექსპერტებისა,—განძის შესაფასებლად და ხასიათის გამოსარკვევად.

3. უკეთუ მე-2 მუხლში დასახელებული კომისია სცნობს, რომ აღმოჩენილ ფასეულობას აქვს უმაღლესი მხატვრული და ანტიკვარული მნიშვნელობა, იგი გადაეცემა ა/კსფსრ-ში შემავალი იმ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს, რომლის ტერიტორიაზედაც ფასეულობაა ნაპოვნი. სხვა დანარჩენი ფასეულობა და საგანი გაყიდულ უნდა იქნეს რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ.

4. ყველა ის ხარჯის დაფარვის შემდეგ, რაც დაკავშირებულია განძის გადაზიდვისა, შეფასებისა, გაყიდვისა და სხვ., განძის გაყიდვით მიღებული დანარჩენი თანხა მიიქცევა:

ა) 20%—განძის აღმომჩენ პირისათვის მისაცემად;

ბ) 30%—იმ აღმასრულებელი კომიტეტის ადგილობრივ სახსარში, რომლის რაიონშიაც განძი იქნა აღმოჩენილი;

გ) 50%—იმ რესპუბლიკის შემოსავალში, რომლის ტერიტორიაზედაც განძია ნაპოვნი.

5. იმ საგნების გადაზიდვისა, შეფასებისა და სხვაგვარი ხარჯი, რაც ამა თუ იმ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს უნდა. გადაეცეს, გაწეულ იქ-

ნება სახალხო კომისართა საბჭოს ანგარიშით, თანაც ხსენებული საგნების აღმომჩენი პირისათვის მისაცემ ჯილდოს, საგნების ღირებულების 20% რაოდენობით, გაიღებს იმავე რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო.

6. აღმოჩენილი განძის ჩაუბარებლობის კვალიფიკაცია უნდა იგულისხმებოდეს, როგორც თვითნებისად, ანგაარების მიზნით, სხვისი ქონების დაჭერა, და დამნაშავე პირი პასუხისგებაში უნდა მიიცეს ა/კსფსრ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის შესაფერი მუხლისამებრ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მაგიერ **ა. ბეკზადიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1927 წ. აპრილის 19. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1458 №-ში 1927 წ. აპრილის 22-ს.

ცირკულიარი № 15 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა

1927 წ. აპრილის 21.

95. სოციალური დაზღვევის სახსარით კურორტებზე საწოლთა იჯარით აღების წესის შესახებ.

სასანიტორო-საკურორტო კამპანიის გეგმისად განხორციელებისათვის და სოციალური დაზღვევის ორგანიების მძიმე ფინანსიური მდგომარეობის გამო, სოციალური დაზღვევის სახსარით კურორტებზე (როგორც საერთო-სახელმწიფოებრივი, ისე ადგილობრივი მნიშვნელობის) საწოლების იჯარით აღება, ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის სოციალური დაზღვევის მთავარ სამმართველოს სანქციის გარეშე, კატეგორიულად აკრძალულია.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის სოც. დაზღვევის
მთავარ სამმართველოს უფროსი **ბანოვიჩი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1458 №-ში 1927 წ. აპრილის 22-ს.

დადგენილება ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა.

1927 წლის აპრილის 15. № 3.

96. თირის საგადასაზიდო ადგილობრივი ტარიფის შესახებ; ამიერ-კავკასიის საავტომობილო სამრეწველო-სავაჭრო საზოგადოების არსებული სამგზავრო ტარიფების მოქმედების ვადის განგრძობის შესახებ; სკრის სადგურიდან ტფილისის სადგურამდე გადასაზიდი ქვიშის საასაწონო გამოსაღებისაგან განთავისუფლების შესახებ.

საშენი ქვის თირის გადაზიდვისათვის ა/კ. რკ. გზ. 41/04 №-რის ადგილობრივი ტარიფის განახლების შესახებ.

შვიდი დღის გასვლის შემდეგ დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა განახლებულ იქნეს ერთის წლის ვადით ბუნებრივი საშენი ქვის თირის (ტარიფების ჯუმლის მე-II ნაწ. ნომენკლატურის ჯგ. 41, პოზ. 24) გადაზიდვისათვის არსებული ა/კ. რკ. გზ. 41/04 №-რის ადგილობრივი ტარიფი, რომელიც გამოქვეყნებულია „ტარიფთა კრებულის“ 360 №-ში 6493 სატარიფო ნომრით და გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-ს 1112 №-ში 1926 წ. თებერვლის 25-ს,—ხოლო იმ პირობით-კი, რომ გადაზიდვა მოხდება ა/კ. რკ. გზ. სამხრეთის ხაზის სადგურებიდან ტფილისისა და ბაქოს მიმართულებით (ცარიელ ვაგონთა მიმართულება).

ამიერკავკასიის საავტომობილო სამრეწველო-სავაჭრო საზოგადოების არსებული სამგზავრო ტარიფების მოქმედების ვადის განგრძობის შესახებ, რომელი ტარიფებიც დაწესებულია ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის მიერ 1926 წ. ივლისის 2-სა და 1927 წ. იანვრის 19-ს პლენარულ სხოომებზე.

განახლებულ იქნეს უცვლელად 1927 წ. ივლისის 15-დე, ვიდრე ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირი დაამყარებდეს ა/კ. საავტომობილო სამრ.-სავაჭრო საზოგადოების ახალ ტარიფებს, ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის მიერ 1926 წ. ივლისის 2-სა და 1927 წ. იანვრის 19-ს პლენარულ სხდომებზე დაწესებული, ვადით 1926 წ. აპრილის 1-დე, ა/კ. საავტომობილო სამრეწველო-სავაჭრო საზოგადოების სამგზავრო ტარიფები—ავტომობილ'ში მგზავრთა გადაყვანისა და სამგზავრო ბარგის გადაზიდვისათვის იმ რეისებით, რომლის ექსპლოატაციასაც ა/კსფსრ ტერიტორიაზე ა/კ. საავტომობილო სამრეწველო-სავაჭრო საზოგადოება ეწევა; აღნიშნული ტარიფები გამოქვეყნებულია გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-ს 1282 №-ში 1926 წ. სექტემბრის 22-ს და 1388 №-ში 1927 წ. იანვრის 27-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკრის სადგურიდან ტფილისის სადგურამდე გადასაზიდი ქვიშის საასაწონო გამოსაღებისაგან განთავისუფლების შესახებ.

„სამშენი"-ს საზოგადოების სამშენებლო საჭიროებისათვის ა/კ. რკ. გზ. სკრის სადგურიდან ა/კ. რკ. გზ. ტფილისის სადგურამდე გადასაზიდი ქვიშის (ჯგ. 38, პოზ. 27) აწონვისათვის საასაწონო გამოსაღები არ უნდა იქნეს გადახდევინებული, უკეთუ ქვიშა ფაქტიურად აწონილი არ იქნება.

ტარიფი ესე შემოიღება ერთი წლის ვადით და ძალაში შედის შვიდი დღის გასვლის შემდეგ დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა; ამასთანავე ამა ტარიფის შეფარდებისათვის საჭიროა—დანიშნულების სადგურზე წარდგენილ იქნეს მოწმობა იმის დასამტკიცებლად, რომ ქვიშა „სამშენი"-ს საზოგადოებას ეკუთვნის.

ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული
საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის
თავმჯდომარის მოადგილე—გამგეობის წევრი **ლევაშევი.**

სატარიფო თათბირის საქმეთა მმართველი **შახბუდაღოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1459 №-ში 1927 წ. აპრილის 23-ს.

დადგენილება № 16 ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

97. სახელმწიფო ფონდების აღნუსხვისა და რეალიზაციის ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური საფონდო კომისიების ლიკვიდაციის შესახებ.

სსრკ შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1927 წლის თებერვლის 9-ს თარიღის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1927 წ. მე-10 №-რი, მუხ. 103) თანახმად და განსავითარებლად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I

1. ლიკვიდაცია ექნეს სახელმწიფო ფონდების აღნუსხვისა და რეალიზაციის ამიერკავკასიის საფონდო კომისიას.

2. იმ საფონდო ქონების აღნუსხვისა და რეალიზაციისათვის თვალყურის დევნება, რაც ამიერკავკასიის მასშტაბით მომქმედ ორგანიზაციათა და საწარმოთა გამგებლობაშია, დაეკისროს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

3. ამიერკავკასიის საფონდო კომისია მოვალეა ერთი თვის ვადაზე დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა მოახდინოს თავისი მოქმედების სრული ლიკვიდაცია და წარუდგინოს ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს საფინანსო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანგარიში და კომისიის მოქმედების მიმოხილვა მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც კომისია არსებობს.

4. ამერიკაკავკასიის საფონდო ქომისიის არქივი უნდა გადაეცეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

5. წინადადება ეძლევა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიურ თათბირებს მოახდინონ ლიკვიდაცია სახელმწიფო ფონდების აღნუსხვისა და რეალიზაციის რესპუბლიკანური კომისიებისა და მათი ფუნქციები (სხვათა შორის რესპუბლიკანური ორგანოების გამგებლობაში ქონებული არასალიკვიდო ფონდების აღნუსხვისა და რეალიზაციისათვის თვალყურის დევნება) სათანადო რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებს გადასცენ.

II

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიურ თათბირებს მიიღონ არსებული წესისამებრ ღონისძიებანი სათანადო რესპუბლიკების კანონმდებლობის ამა დადგენილებასთან შეთანხმებისათვის.

7. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს ერთი კვირის ვადაზე წარმოადგინოს არსებული წესისამებრ დასამტკიცებლად ა/კსფსრ კანონმდებლობის ყველა ის ცვლილება, რაც ამა დადგენილებიდან გამომდინარეობს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოვალ. აღმ. **ა. ბეკზადიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1927 წ. აპრილის 14. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1463 №-ში 1927 წ. აპრილის 29-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკანონმდებლო დადგენილება № 13 აკსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო მეტრული კომისიისა

1927 წლის აპრილის 8.

§ 1. ა/კსფსრ წყალთა მეურნეობის მეტრიზაციის შესახებ.

ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. ოქტომბრის 29-ს თარიღის დადგენილების მე-11 §-ს „ბ“ პუნქტის თანახმად—ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო მეტრული კომისია ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს 1927 წ. ივლისის 1-დან ა/კსფსრ ტერიტორიაზე მეტრული სისტემის ზომა-წონა ყველა იმ დაწესებულებასა, საწარმოსა, ორგანიზაციასა და სხვ., სადაც სწარმოებს წყალთა მეურნეობის აღნუსხვა, მაგალითად: საირიგაციო და სამელიორაციო პროექტების შედგენისა, გიდრომეტრიის სამუშაოს, წყლის გაცემისა და ყოველივე იმისათვის, რაც წყალთა მეურნეობას შეეხება.

2. ძველი ზომა-წონის ხმარება ყველა იმ დაწესებულებაში, რაც ამა დადგენილების 1-ლ მუხლშია აღნიშნული, აკრძალულია.

3. ამა დადგენილების 1-ლ მუხლის აღსასრულებლად ყველა ჩამოთვლილი დაწესებულება მოვალეა ზემოაღნიშნული ვადისათვის იქონიოს მისთვის საჭირო ცხრილები მეტრული სისტემით, და მიიღოს სასწრაფო ღონისძიება პერსონალის მომზადებისა და ინსტრუქტიობისათვის მეტრული სისტემის პრაქტიკულად განსახორციელებლად.

4. ამა დადგენილების განხორციელება და მეთვალყურეობა მისი შესრულებისათვის დაეკისრება ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს და ეკონომიური თათბირების განსაკუთრებულ რწმუნებულთ, რომელნიც ამავე დროს ა/კ. საუწყებათაშორისო მეტრული კომისიის წარმომადგენელნი არიან ა/კსფსრ-ში შემავალ რესპუბლიკებში.

5. ამა დადგენილების დარღვევა დაისჯება ა/კსფსრ-ში შენაკავალი სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის შესაფერი მუხლისამებრ.

ა/კ. საუწყებათაშორისო მეტრული
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ინჟ. **გუნცაძე.**

ა/კ. საუწყებათაშორისო მეტრული
კომისიის მდივანი **ხარატიანი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1463 №-ში 1927 წ. აპრილის 29-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 17 აკსსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

99. მუშათა საბინაო-სამშენებლო და საერთო-სამოქალაქო საბინაო-სამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობათა ნორმალური წესდებების ზოგიერთი მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

სსრკ ცენტრალური აღსასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—საბინაო კოოპერაციის კანონის მე-19, 22, 27, 29, 30 და 34 მუხლების რედაქციის შეცვლის შესახებ გამოცემული (კან. კრ. 1927 წ. მე-2 №-რი, მუხ. 14) დადგენილების თანახმად—ა/კსსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ქვემოაღნიშნული მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგი ახალი რედაქციით:

ა. მუშათა საბინაო-სამშენებლო კოოპერატიული ამხანაგობის წესდებისა

(ა/კსფსრ კან. კრ. 1925 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 1).

1. **მე-3 მუხლის „ა“ და „ბ“** ლიტერები გაერთიანებულ იქნეს შემდეგი შინაარსის **„ა“** ლიტერად:—მიიღონ მათივე არჩევით მიწის ნაკვეთები შენობების ასაგებად, აღსადგენად ან დასამთავრებლად, ან ვადით აღნაგობის უფლების ხელშეკრულებისამებრ, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებში სამოქალაქო სამართლის კოდექსის სათანადო დადგენილებათა თანახმად, ან უვადო სარგებლობისათვის.

2. **მე-3 მუხლის ლიტერა „ე“**.—აიღონ სესხი სახელმწიფო საკრედიტო და კოოპერატიულ დაწესებულებებში და დაუგარაონ აღნაგობის უფლება და შენობები იმ სახელმწიფო ორგანოებს, კოოპერატიულ ორგანიზაციებს და საკრედიტო დაწესებულებებს, რომელთაც, მათი დებულებისა ან წესდების მიხედვით, უფლება აქვთ მიიღონ გირაოდ შენობა და აღნაგობის უფლება.

3. **მე-3 მუხლის ლიტ. „ვ“**.—გაასხვისონ მათი საკუთარი შენობა და აღნაგობის უფლება მარტოოდენ სახელმწიფო ორგანოსა და სხვა მუშათა საბინაო-სამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობაზე. იგივე წესი მოქმედობს იმ შემთხვევაშიაც, როდესაც ამ ახანაგობათა კუთვნილი შენობა თუ აღნაგობის უფლება გასხვისებულ იქნება საჯარო ვაჭრობით.

4. **მუხ. 7.** იმ მოქალაქეთა რიცხვი, რომელნიც მოაწყობენ მუშათა საბინაო-სამშენებლო ამხანაგობას, განისაზღვრება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობით.

5. **მუხ. 8.** ამ ამხანაგობათათვის უვადო სარგებლობად მიცემულ მიწის ნაკვეთებზე აგებული შენობები ეკუთვნის მათ საკუთრების უფლების საფუძველზე.

მიწის ნაკვეთის უვადო სარგებლობის უფლება განუყოფელია შენობის საკუთრების უფლებისაგან და მოისპობა ამ უფლების მოსპობისათანავე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. **მუხ. 9.** ამხანაგობის წევრად ყოფნა შეუძლიანთ შემდეგი კატეგორიის მოქალაქეთ, რომელთაც მიაღწიეს 18 წელს და რომელთაც განაცხადეს თანხმობა დაემორჩილნენ წესდებას: 1) სახელმწიფო, პროფესიონალურ, პარტიულ და კოოპერატიულ საწარმოთა და დაწესებულებათა მუშათ და მოსამსახურეთ, აგრეთვე იმ პირთ, რომელნიც დაქირავებით მუშაობენ კერძო პირთან და შენაერთთან; 2) უმუშევართ და შრომისა და ომის ინვალიდთ, რომელნიც მუშათა და მოსამსახურეთა წრეს ეკუთვნიან.

7. **მუხ. 10.** მუშათა საბინაო-სამშენებლო კოოპერატიული ამხანაგობის წევრს უფლება აქვს მუდმივ ისარგებლოს საცხოვრებელი სადგომი, რომლის სივრცეც დამოკიდებულია მისი კუთვნილი პაიების რაოდენობაზე. მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ამხანაგობას ექნება აღნაგობის უფლება ან კოოპერატიული საკუთრების უფლება უწყებულ შენობაზე.

ამხანაგობის წევრისათვის სარგებლობად გადაცემული სადგომი არ შეიძლება მას ჩამოერთვას, უკეთუ იგი თანახმა არ იქნება, გარდა წესდების მე-12 და 13 მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევისა.

8. **მუხ. 34.** ამხანაგობის საოპერაციო წელიწადი ითვლება იანვრის 1-დან დეკემბრის 31-დე—ამ რიცხვითურთ.

ყოველი გასული წლისათვის გამგეობა შეადგენს ამხანაგობის ოპერაციების დაწვრილებითი ანგარიშს და ბრუნვის ბალანსს ამხანაგობის წევრთა საერთო კრებისათვის განსახილველად და დასამტკიცებლად წარსადგენად.

9. **38 მუხლის ლიტ. „ა“.** საბინაო-სამშენებლო ამხანაგობამ უნდა მოსპოს თავისი არსებობა, უკეთუ ამხანაგობის წევრთა რიცხვი ნაკლები იქნება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის კანონმდებლობით განსაზღვრულ რიცხვზე.

ბ. საერთო-სამოქალაქო საბინაო-სამშენებლო კოოპერატიული ამხანაგობის ნორმალური წესდებისა.

(ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-4 №-რი, მუხ. 5).

10. **მე-2 მუხ. ლიტ. „ა“.**—მიიღონ მათივე არჩევით მიწის ნაკვეთები შენობის ასაგებად, აღსადგენად და დასამთავრებლად, ან ვადით აღნაგობის უფლების ხელშეკრულებისამებრ, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსის სათანადო დადგენილებათა თანახმად, ან უვადო სარგებლობისათვის, ამ ამხანაგობათათვის უვადო სარგებლობად მიცემულ მიწის ნაკვეთებზე აგებული შენობები ეკუთვნის მათ საკუთრების უფლების საფუძველზე. მიწის ნაკვეთის უვადო სარგებლობის უფლება განუყოფელია შენობის საკუთრების უფლებისაგან და მოისპობა ამ უფლების მოსპობისთანავე.

11. **მე-3 მუხ. ლიტ. „ბ“.**—გაასხვისონ მათი საკუთარი შენობა და აღნაგობის უფლება სახელმწიფო ორგანოსა ან საბინაო-სამშენებლო კოოპერატიულ ორგანიზაციაზე. იგივე წესი მოქმედობს იმ შემთხვევაშიაც, როდესაც ამ ამხანაგობათა კუთვნილი შენობა თუ აღნაგობის უფლება გასხვისებულ იქნება საჯარო ვაჭრობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. **მე-3 მუხ. ლიტ. „ე".**—აიღონ სესხი სახელმწიფო საკრედიტო და კოოპერატიულ დაწესებულებებში და დაუგირაონ აღნაგობის უფლება და შენობები იმ სახელმწიფო ორგანოებს, კოოპერატიულ ორგანიზაციებს და საკრედიტო დაწესებულებებს, რომელთაც, მათი დებულებისა ან წესდების მიხედვით, უფლება აქვთ მიიღონ გირაოდ შენობა და აღნაგობის უფლება. კერძო პირს არ შეუძლიან მიაქციოს გადახდევინება საერთო-სამოქალაქო საბინაო-სამშენებლო კოოპერატიული ამხანაგობის ვალდებულებისათვის არც შენობასა და არ აღნაგობის უფლებას, რაც ამ ამხანაგობას ეკუთვნის.

13. **მუხ. 9.** საერთო-სამოქალაქო საბინაო-სამშენებლო კოოპერატიული ამხანაგობის წევრს უფლება აქვს მუდმივ ისარგებლოს საცხოვრებელი სადგომი, რომლის სივრცეც დამოკიდებულია მისი კუთვნილი პაიების რაოდენობაზე, მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ამხანაგობას ექნება აღნაგობის უფლება ან საკუთრების უფლება უწყებულ შენობაზე.

ამა მუხლში აღნიშნული უფლება გადადის მემკვიდრეობით საერთო წესისამებრ.

14. **მუხ. 33.** ამხანაგობის საოპერაციო წელიწადი ითვლება იანვრის 1-დან დეკემბრის 31-დე—ამრიცხვითურთ. ყოველი გასული წლისათვის გამგეობა შეადგენს ამხანაგობის ოპერაციების დაწვრილებითი ანგარიშს და ბრუნვის ბალანსს ამხანაგობის წევრთა საერთო კრებისათვის განსახილველად და დასამტკიცებლად წარსადგენად.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოვალ. აღმ. **ა. ბეკზადიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1927 წ. აპრილის 14. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1464 №-ში 1927 წ. აპრილის 30-ს.

გასწორება

კანონთა კრებულის 1927 წ. მე-3 №-რის 33 მუხლის მე-2 პუნქტში (გვ. 45) ნაცვლად სიტყვებისა: „სსრკ გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში და ამიერკავკასიის რკინის გზების გამგეობის თავმჯდომარეს" უნდა იკითხებოდეს: „გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ამიერკავკასიის რკინის გზებზე და ა/კ. რკ. გზების გამგეობის თავმჯდომარეს".